



**აივ ეპიდემია საქართველოში
მაღალი რისკის ჯგუფებზე ზედამხედველობის
შედეგები
2012**



აივ ინფექციის ეპიდემიოლოგია საქართველოში

აივ ინფექციის ახალი შემთხვევები *ყოველწლიურად მატულობს*


ახლად გამოვლენილ შემთხვევები ძირითადად მოდის *მამაკაცებზე*,
რომლებიც ინექციურ ნარკოტიკს მოიხმარენ

ბოლო 2 წლის მანძილზე *სქესობრივი გზით* დაინფიცირება წამყვანია
გადაცემის გზებს შორის

შემთხვევების დიდი ნაწილი რეგისტრირდება *დაგვიანებით - შიდსის*
სტადიაზე



აივ ინფექციის ახლად გამოვლენილი შემთხვევები საქართველოში



წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



სად არის ინფექცია უფრო მეტად გავრცელებული

მაღალი რისკის ჯგუფებში:

- ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლები
- ჰომოსექსუალური ქცევის მექონე მამაკაცები
- კომერციული სექსის მუშაკები
- პატიმრები

თუ ინფექცია
მაღალი რისკის
ჯგუფში
> 5%



ზოგადი
მოსახლეობა



როგორ შევაჩეროთ ეპიდემია





როგორ დავაკვირდეთ ეპიდემიას




ქცევაზე ზედამხედველობის კვლევები ბიომარკერის კომპონენტით

- ტარდება მაღალი რისკის ჯგუფებში
- ტარდება გარკვეული პერიოდულობით სხვადასხვა დიდ ქალაქში
- ხდება დაკვირვება სარისკო ქცევების ცვლილებაზე, აივ ინფექციის გავრცელებაზე, პრევენციული პროგრამების მუშაობაზე
- შედეგები გამოიყენება პროგრამების შემუშავებისთვის

ინექციური ნარკოტიკების
მომხმარებლები



ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა სოციალურ - ეკონომიკური მახასიათებლები ყოველთვიური შემოსავალი ლარებში, 2012




**ნახევარზე მეტის
ყოველთვიური შემოსავალი
< 300 ლარზე**




ნარკოტიკის პირველი მოხმარების ასაკი

პირველი არაინექციური მოხმარება



პირველი ინექცია



უმრავლესობა პირველად ნარკოტიკს სინჯავს < 15 წ.

ნახევარზე მეტი ნარკოტიკს პირველად იკეთებს <19 წ. ასაკში




ნარკოსცენა

საინექციო ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება ბოლო თვეს


შემცირდა: ჰეროინის და სუბუტექსის მოხმარება
გაიზარდა: კუსტარულად დამზადებული ამფეტამინები
გაჩნდა: თვითნაკეთი ოპიოიდური ნარკოტიკი "კრაკადილი"

70%-ზე მეტი მოიხმარს ასევე არაინექციურ ნარკოტიკებს (აფთიაქში შეძენილ ცნს დეპრესანტებს)





ინექციური გზით მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებები ბოლო თვის მანძილზე



დეზომორფინს ("კრაკადილს") მოიხმარენ ყველა ქალაქში

ჰეროინის მოხმარება დაკავშირებულია საზღვარგარეთ (თურქეთში) ინექციასთან



ჰეროინის მომხმარებლები

წინა თვის მანძილზე გაიკეთა - **35.9%**-მა

მიეკუთვნებიან შედარებით მაღალი შემოსავლის ჯგუფს
შედარებით მაღალია საინექციო ალქურვილობის გაზიარება
ინექციას იკეთებენ საზღვარგარეთ (თურქეთი)
თანაბრად მოიხმარენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის და
განათლების ადამიანები





დეზომორფინის “კრაკადილის” მომხმარებლები

წინა თვის მანძილზე გაიკეთა - **36%**-მა

მაღალია ინექციის სიხშირე (დღეში რამდენჯერმე)

თანაბრად მოიხმარენ სხვადასხვა განათლების და შემოსავლის

მქონე ადამიანები






ინექციასთან დაკავშირებული ქცევა

- უსაფრთხო ინექციის პრაქტიკა გაუმჯობესებულია ყველა ქალაქში
- მნიშვნელოვნად შემცირებული საინექციო ატრიბუტიკის (ჭურჭელი, ხსნარი) გაზიარება
- ნარკოტიკის მოხმარება საზღვარგარეთ მნიშვნელოვნად გაზრდილია ყველა ქალაქში
- საზღვარგარეთ ნარკოტიკის მომხმარებლები მიმართავენ სარისკო ქცევას - საინექციო აღჭურვილობის გაზიარებას



ინექცია საზღვარგარეთ, 2012



თურქეთი ყველაზე ხშირად დასახელებული ქვეყანაა



საინექციო საშუალების გაზიარება

ბოლო თვის მანძილზე საინექციო აღჭურვილობა გაიზიარა -

10.4%-მა

გაზიარება ყველაზე მაღალია ბათუმში

გაზიარების რისკი იზრდება:

- ჰერონის, "ჯეფის" ინექციისას
- საშუალო განათლების მქონე პირებში
- საზღვარგარეთ ინექციისას
- თუ ნარკოტიკის მომხმარებელი არ არის მოცული პრევენციული პროგრამით





სქესობრივი ქცევა

სარისკო სქესობრივი ქცევა კვლავაც გავრცელებულია

რეგულარულ პარტნიორებთან კონდომის


გამოყენება ძალიან დაბალია

ყველა ქალაქში 40%-ზე მეტს ჰყავს

შემთხვევითი პარტნიორი

მათგან ყოველი მეორე არ იყენებს
კონდომს

კონდომის გამოყენება პარტნიორთან ბოლო
კონტაქტის დროს





ცოდნა აივ-ის გადაცემის გზების შესახებ

ცოდნის დონე აივ-ის გადაცემის გზების შესახებ გაუმჯობესებულია

თუმცა კვლავ გავრცელებულია ცრუ
წარმოდგენები აივ-ის გადაცემის გზების
შესახებ, როგორცაა კოლოს კბენით,
საკვების გაზიარებით გადაცემა






აივ ტესტირება

2009 წ-დან **3-ჯერ გაიზარდა** ტესტირება წინა წელს (5.7%-დან 14.7%-მდე)

თუმცა ჯერ კიდევ **ყოველი მეორე** არც-ერთხელ არ არის ტესტირებული აივ-ზე სიცოცხლის მანძილზე

არატესტირებულები:

- ასაკი < 25 წელზე
- საშუალო განათლებით
- აივ პრევენციაზე აქვთ არადადამაკმაყოფილებელი ცოდნა
- იზიარებენ საინექციო აღჭურვილობას





რატომ არ იტარებენ ტესტირებას

ხარისხობრივი კვლევის შედეგები

ფსიქოლოგიური ბარიერი - დაავადების შიში

“სიკვდილი მახსენდება, სიმართლე გითხრათ, ეგრევე ტანში გამცრის ხოლმე...”

აივ ინფექციის რისკის არაადეკვატური აღქმა:

- ინფექციის დაბალი გავრცელების გამო თვლიან რომ ინფიცირების შანსი დაბალია
- “ვინტის” მომხმარებლები თვლიან რომ წამალი იცავს ინფიცირებისგან
- სიმპტომების არარსებობა ნიშანია იმისა, რომ ინფექცია არა აქვთ



რატომ არ იტარებენ ტესტირებას

სოციალური ბარიერები:

- სტიგმა აივ ინფიცირებულის მიმართ

“ შეიძლება ბევრს აქვს სურვილი, რომ ანალიზი ჩაიტაროს, მაგრამ იმისიც ეშინია, რომ სხვამ არ გაიგოს...”

“მე, მაგალითად, გადავიკარგებოდი სადმე, სადაც არ მიცნობენ, ისეთ ადგილას, მოვშორდებოდი აქაურობას, ამის გაგებას ყველაფერი მირჩევნია...”

- სტიგმა ნარკომომხმარებლის (განსაკუთრებით ქალის) მიმართ

“ უმეტესობა სამწუხაროდ ისე ფიქრობს, რომ რადგან ამ ანალიზს იღებ, ნარკომანი ხარ აუცილებლად...”



რატომ არ იტარებენ ტესტირებას

არაინფორმირებულობა უფასო ტესტირების შესაძლებლობების შესახებ

- მონაწილეთა უმრავლესობისთვის უცნობია უფასო ტესტირების ცენტრების არსებობა

ანონიმურობა

- თავს არიდებენ საავადმყოფოებს, სადაც ხდება პირადი ინფორმაციის რეგისტრაცია

“აქ ყოფილიყო პირადობა და ასე შემდეგ, არც ერთ ვარიანტში არ დავთანხმდებოდი, მოვერიდებოდი ამ ყველაფერს...”



რატომ არ იტარებენ ტესტირებას

ინსტიტუციური ბარიერი - ტესტირების ცენტრი

- თავს არიდებენ ხალხმრავალ ადგილას განთავსებულ ცენტრებს, სადაც ცენტრზე წარწერით ნათელია რა ტესტირებას იტარებს იქ მისული ადამიანი
- გამოთქვამენ სურვილს სხვა ქალაქში, მოცილებულ ადგილას ჩაიტარონ ტესტირება
- ენდობიან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ სერვისს

ფინანსური ბარიერი:

- უმრავლესობას მიაჩნია, რომ ტესტირება მხოლოდ ფასიანია, რაც დამატებითი ბარიერია



რატომ არ იტარებენ ტესტირებას

პასუხის გაცემის ვადა

- ნაწილისთვის ტესტირების პასუხზე რამდენიმე დღე ლოდინი დამატებით ფსიქოლოგიური ბარიერს ქმნის
- ნაწილი თვლის, რომ სწრაფი პასუხი ნაკლებად სანდოა

პოლიცია:

- პოლიცია არ წარმოადგენს წამყვან ბარიერს ტესტირების ჩასატარებლად, თუმცა ზოგიერთი თვლის, რომ პოლიციამ შეიძლება დააკავოს ტესტირებაზე მისული პირი
- არასამთავრობო ორგანიზაციები არ მოიაზრებიან კავშირში პოლიციასთან



პრევენციული პროგრამებით მოცვა

იცის სად შეიძლება ტესტირების ჩატარება და მიუღია შპრიცი ან კონდომი ან საინფორმაციო მასალა ან კვალიფიციური ინფორმაცია აივ-ზე

მხოლოდ $\frac{1}{4}$ არის მოცული


პრევენციული პროგრამით;

სრული პაკეტი კიდევ უფრო ნაკლებმა

ადამიანმა მიიღო;

ქალაქების მიხედვით სერვისებით

მოცვა არათანაბარია






აივ ინფექციის გავრცელება ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში, 2012

აივ-ის გავრცელებამ მნიშვნელოვნად მოიმატა ბათუმსა და ზუგდიდში

ექვსი ქალაქის საშუალო მაჩვენებელი **3.0%** (2.4% - 2009)



მონაცემი წარმოადგენს შეწონილ პოპულაციურ გათვლებს



აივ+ და სარისკო ქცევა

აივ დადებითებიდან:

48.9% - არ გამოიყენა კონდომი ბოლო სქესობრივ პარტნიორთან

59.5% - არ გამოიყენა კონდომი რეგულარულ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კონტაქტის დროს

39.6% - არასდროს ჩაუტარებია ტესტირება

13.2% - გაიზიარა საინექციო ალჭურვილობა ბოლო თვეში



ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში არსებული
სარისკო ქცევები, პრევენციული პროგრამებით
არასახარბიელო მოცვა, არსებული ბარიერები და სტიგმა
აივ ინფექციის გავრცელების საშიშროებას ქმნის

ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცები



სქესობრივი ქცევა

- სქესობრივი პარტნიორების დიდი რა-ბა (საშუალოდ 4 პარტნიორი)
- ოთხიდან ერთი არ იყენებს კონდომს ბოლო პარტნიორთან
- სამიდან მხოლოდ ერთი იყენებს კონდომს მუდმივად
- ნახევარს ჰყავს ქალი პარტნიორი, მათგან სამიდან ორმა გამოიყენა კონდომი
- ყოველი მეექვსე მონაწილეობს ჯგუფურ სექსში, მათგან 2/3 გამოიყენა კონდომი
- შვიდიდან ერთი ჩართულია კომერციულ სექსში



პრევენციული პროგრამებით მოცვა


იცის სად შეიძლება ტესტირების ჩატარება და მიუღია კონდომი ბოლო
12თვის მანძილზე

- პრევენციული პროგრამით **მოცული არის ყოველი მეორე;**
- **სამიდან ერთი** არც-ერთხელ არ არის ტესტირებული აივ-ზე
სიცოცხლის მანძილზე
- ახალგაზრდები ნაკლებად არიან მოცული პრევენციული პროგრამით



აივ ინფექციის გავრცელება ჰომოსექსუალური ურთიერთობების მეორე მამაკაცებში

აივ-ის გავრცელებამ მნიშვნელოვნად მოიმატა ბოლო 2 წლის განმავლობაში





აივ+ და სარისკო ქცევა

აივ დადებითებიდან:

სამიდან მხოლოდ ერთმა:

გამოიყენა კონდომი მუდმივად ბოლო 1 წლის მანძილზე

გამოიყენა კონდომი ბოლო ანალური კონტაქტის დროს

ყოველ მეორეს ჰყავდა ქალი პარტნიორი, რომელთან

უმრავლესობამ არ გამოიყენა კონდომი ბოლო კონტაქტის დროს



ჰომოსექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცებში
არსებული სარისკო ქცევები (პარტნიორების დიდი
რაოდენობა, კონდომების დაბალი მოხმარება მამაკაცებთან
და ქალებთან) პრევენციული პროგრამებით
არასახარბიელო მოცვა, არსებული სტიგმა ხელს უწყობს
აივ ინფექციის საგანგაშო ზრდას

კომერციული სექსის მუშაკები



სქესობრივი ქცევა

- უმრავლესობა იყენებს კონდომს, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში კონდომის გამოყენება ფასიან კლიენტთან შემცირდა, განსაკუთრებით ბათუმში
- ოთხიდან ერთი არ იყენებს კონდომს რეგულარულ კლიენტთან
- კონდომის არგამოყენების მიზეზი არის პარტნიორის უარი
- დაუცველი სქესობრივი კონტაქტის დროს კომერციული სექსის მუშაკები მნიშვნელოვნად მაღალ ანაზღაურებას იღებენ



ცოდნა და პრევენციული პროგრამებით მოცვა

იცის სად შეიძლება ტესტირების ჩატარება და მიუღია კონდომი ბოლო
12თვის მანძილზე

- ცოდნის დონე აივ-ის გადაცემის გზების შესახებ **რჩება**

არადამაკმაყოფილებელი

- გავრცელებულია ცრუ წარმოდგენები აივ-ის გადაცემის გზების შესახებ
- პრევენციული პროგრამით **მოცული არის ყოველი მეორე თბილისში და ოთხიდან სამი ბათუმში;**



ცოდნა და პრევენციული პროგრამებით მოცვა

იცის სად შეიძლება ტესტირების ჩატარება და მიუღია კონდომი ბოლო
12თვის მანძილზე

- ცოდნის დონე აივ-ის გადაცემის გზების შესახებ **რჩება**


არადამაკმაყოფილებელი

- გავრცელებულია ცრუ წარმოდგენები აივ-ის გადაცემის გზების შესახებ
- პრევენციული პროგრამით **მოცული არის ყოველი მეორე თბილისში და ოთხიდან სამი ბათუმში;**



აივ ინფექციის გავრცელება კომერციული სექსის მუშაკებში

აივ-ის გავრცელება რჩება დაბალი, თუმცა დაუცველი სქესობრივი კავშირების გამო **გაიზარდა გონორეის გავრცელება**, რაც აივ-ის გავრცელების საშიშროებაზე მიუთითებს





კომერციული სექსის მუშაკებში აივ-ის გავრცელება რჩება
დაბალი, თუმცა დაუცველი სქესობრივი კავშირების გამო
შესაძლებელია ინფექციის გავრცელება

პატიმრები



სარისკო ქცევები

სარისკო ქცევები **არ არსებობს ან იშვიათად გვხვდება**

- ნარკოტიკების მოხმარება არ იქნა გამოვლენილი
- სამიდან ერთი იკეთებს ტატუირებას, თუმცა საზიარო ადჰურვილოზის გამოყენება პრაქტიკულად არ ხდება
- ჰომოსექსუალური კონტაქტი დასახელდა 250-დან 2 შემთხვევაში



ცოდნა და პრევენციული პროგრამებით მოცვა

მიიღო ინფორმაცია აივ/შიდსის შესახებ პრევენციული პროგრამებიდან ციხეში ყოფნის დროს ბოლო 12 თვის განმავლობაში

- ცოდნის დონე აივ-ის გადაცემის გზების შესახებ **რჩება არადამაკმაყოფილებელი**
- სამიდან ერთი ტესტირებულია ციხეში ბოლო 12 თვის მანძილზე ყოფნის დროს
- ყოველი მეორე მოცულია პრევენციული პროგრამით

აივ ინფექციის გავრცელება

აივ ინფექციის გავრცელება ძალიან დაბალია -3.5 ინფიცირებული 1000 პაციმარზე.



პატიმრებში აივ ინფექციის დაბალი გავრცელების და
დაბალი სარისკო ქცევების ფონზე ინფექციის გავრცელების
ალბათობა დაბალია

ეპიდემიის გავრცელების საშიშროება



ინექციური
ნარკოტიკების
მომხმარებლებში

> 5%

ჰომოსექსუალური
ურთიერთობების
მქონე მამაკაცებში

> 5%

ზოგადი

მოსახლეობა



აივ ეპიდემიამ **კონცენტრირებული ეპიდემიის დონეს** მიაღწია,
რაც ნიშნავს, რომ აივ ინფექცია შეიძლება **ადვილად**
გავრცელდეს ზოგად მოსახლეობაზე
ეპიდემიის შეჩერება ჯერ კიდევ შესაძლებელია **პრევენციული**
პროგრამების მოცვის და ხარისხის გაზრდით